რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ზ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: დიდ-ასოებით ასოზე 1 კაპ., [illegible] ცეროთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს საბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

მომავალ 1880 წელს

## „დროება“-„ივერიის“

გამოცემაზედ

მომავალ 1880 წლის 1 იანვრიდამ გაზეთი „დროება“ და ჟურნალი „ივერია“ შეერთდებიან და იყოლიებენ ერთსა-და-იმავე საერთო რედაქციას, რომელიც შესდგება ამ ორივე ჟურნალ-გაზეთის აწინდელ რედაქციებისაგან და თანამშრომლებისაგან.

გაზეთი „დროება“ გამოვა ყოველ დღე, როგორც აქამომდე, მხოლოთ ფორმატი (თაბახის სივრცე) უფრო დიდი ექნება. ჟურნალი „ივერია“ კი გამოვა სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

გაზეთის შესაფერ სტატიებს შესახებ შინაურის მიმოხილვისა და პოლიტიკისა, მარტო „დროებაში“ მიეცემა ადგილი; ხოლო უფრო ვრცელს სტატიებს რომელსამე განსაკუთრებულს საგანზედ, პოლიტიკისა და შინაურის საქმეების შესახებ, ექნებათ ადგილი ჟურნალს „ივერიაში“. ამის გამო მომავალის წლის დამ ჟურნალი „ივერია“ უფრო იმ გვარს წიგნებს დაემსგავსება, რომელთაც რუსები „სბორნიკს“ ეძახიან, ვიდრე დრო-გამოშვებითს გამოცემასა; განსაკუთრებული ყურადღება რედაქციისა იქნება მიქცეული მასზედ, რომ „ივერია“ ადვილი საკითხავი, კარგი გასართობი და თან სასარგებლო წიგნიც იყოს, და ამისთვის უფრო ვრცელი ადგილი ეძლევა რომანებს, მოთხრობებს, ლექსებს როგორც თარგმნილებს, ისე პირ-და-პირ ჩვენს ენაზე დაწერილებს, და აგრეთვე ძველს ჩვენს მოთხრობებსაც; რომელნიც იმ სახით დაიბეჭდებიან, რომ მერე ცალ-ცალკე წიგნად შეიკრიბონ.

ამ შეერთებულის შრომისა და ღონის წყალობით, „დროება“-„ივერიის“ რედაქციას იმედი აქვს, რომ შემდეგში თავის მოვალეობას მკითხველთა წინაშე უფრო უკეთ შეასრულებს, რადგან ამ საქმეში ჩვენთა უკეთესთა მწერალთა აღუთქვეს იმას თავისი შეწევნა და თანაგრძნობა.

### ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში: „დროების“ რედაქციაში, სოლოლაკზე, ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, ზ. შადინოვის სახლში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.

### ფასი

| | | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს. |
|---|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ — ერთად | | — 13 მან. | — 7 მან. | — 4 მან. |
| ცალკე: | „დროება“ | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| | „ივერია“ | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ეღირება — 5 კაპეიკი.
— — „ივერიისა“ — 2 მანეთი.

სხვა ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა ჟურნალ-გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

რედაქტორები „დროება“-„ივერიისა“ { თ. ილ. ჭავჭავაძე. სერ. მესხი.

გამომცემელი „დროებისა“ — სტ. მელიქიშვილი.
გამომცემელი „ივერიისა“ — თ. ილ. ჭავჭავაძე.

---

ოთხშაბათს, 21 ნოემბრისთვის

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება თფილისის საზაფხულო თეატრში:

I

ქეთილი და უმანკო

## ანგელოზი

კომედია სამს მოქმედებად, გადმოკეთებული რუსულიდამ თ. დ. ერისთავისაგან

II

## საძაგელი

ვოდევილი ორს მოქმედებად, გადმოკეთებული რუს. თ. დ. ერისთავისაგან

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზე.

დაიწყობა $7\frac{1}{2}$ საათზე.

(3—2)

---

## ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

პარიჟი, 15 ნოემბერს. დღეს დაიწყო სხდომები სენატისა და დეპუტატთ პალატისა. სენატში წარდგენილია საზოგადო პროექტი მომავალ 1880 წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ანგარიშის (ბიუჯეტი).

დეპუტატთა პალატაში თავმჯდომარემ გამბეტტამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მოულოცა საფრანგეთს კონგრესსის გარდაწყვეტილება, რომლის ძალითაც პარიჟს დაუბრუნდა თავის კანონიერი სახელი და ღირსება საფრანგეთის სატახტო ქალაქისა. მმართებლობა იმყოფება ახლა ისეთს ქალაქში, რომლიდამაც იმას ნამდვილად შეჰფერის ჩვენი ქვეყნის მმართვა და სადაც იმის უფლებას ექმნება პატივი და ძალა. კონგრესის გარდაწყვეტილება ამტკიცებს, რომ მთავრობას ნდობა აქვს პარიჟის ხალხის კეთილ-გონიერებისა. შემდეგ გამ-

ბეტტამ სთხოვა დეპუტატებს მშვიდობიანად აწარმოვონ თავიანთი საქმე, მოიშალონ გაცხარება ბაასის დროს და ყოველი ღონისძიება მიმართონ იმ უზენაესს მიზანს, რომელიც იმათ წინ უდევთ ე. ი. სამშობლოს დიდებასა და რესპუბლიკის დამკვიდრებას.

მინისტრებმა რამდენიმე პროექტი შეიტანეს პალატაში, სხვათა შორის ნება-რთვის თხოვნა იმაზედ, რომ მიეცესთ უფლება სახელმწიფო ხაზინიდამ 80 მილიონი ფრანკი (30 მილ. მან.) დახარჯონ საფრანგეთის სასოფლო გზების გასაკეთებლად. ბონაპარტისტმა ენჟანსმა შეიტანა წინადადება, რომ მმართებლობამ გაჭირებულ ხალხის კეთილ-დღეობაზედ იზრუნოს და გამოსცეს კანონი იმაზედ, რომ უცხო ქვეყნიდამ შემოტანილ ფქვილს ხარჯი არ გადახდესო. ვაჭრობის მინისტრმა უპასუხა ამ დეპუტატს, რომ მმართებლობა სთხოვს პალატას საჩქაროთ დამტკიცებას ყველა იმ წინადადებისას, რომელნიც ხალხის გაჭირების შემსუბუქებას შეეხება.

**ცეტინიე, 15 ნოემბრს.** მუხთარ-ფაშა ალბანელებმა მოკლეს ზუსინიეში.

**სოფია (ბოლგარია), 15 ნოემბერს.** ნაციონალურ კრების მომეტებულ ნაწილმა გამოაცხადა, რომ იმას არა აქვს ნდობა ახლანდელს სამინისტროსი; ამის გამო სამინისტრომ წარუდგინა მთავარს დათხოვნის ქაღალდი. ახალი სამინისტროს შედგენა ქარაკელოვს აქვს მინდობილი.

**პეტერბურღის ბირჟა, 12 ნოემბერს.**

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემი — | —94—25 |
| მეორე — — — | — 92—75 |
| მესამესი — — | — 93—25 |
| მეოთხესი — — | — 94— „ |
| აღმოსავლეთის პირ. | — 90—13 |
| აღმოსავლეთის მეორე | — 90—25 |
| აღმოსავლეთის, მესამე | — „— „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | — 7—84 |
| გირაოს ფურცელი | — „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის— | — 228—50 |
| მეორე სესხის — | — 223—50 |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—36 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 213—50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 264—50 | სანტიმი |
| ვენა — — — | 127—25 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

# საქართველო

## დღიური

*** დღეს, 19 ნოემბერს, საღამოს მეშვიდე საათზე სამხედრო სასამართლომ გამოიტანა განჩინება ტატო წულუკიძის საქმის თაობაზედ: ტატო წულუკიძეს გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა ჩამოღრჩობით, გიორგი ზველესიანს სამუდამო კატორგა; ორბელოვი და ყაზაროვი სასამართლომ ამ საქმეში გაამართლა.

ეს გარდაწყვეტილება საბოლაოდ არ არის: წულუკიძესა და ზველესიანს შეუძლიანთ კასსაციით გადიტანონ საქმე პეტერბურღის მთავარ სამხედრო სასამართლოში.

*** ახალციხიდამ იწერებიან სომხურ გაზეთებში, რომ იქაური სომხები ძალიან ცდილობენო და არაფერს არ ზოგავენო, რომ თავიანთ შვილების განათლებას დაეხმარონო. სხვათა შორის, ამას წინათ შეკრებილა იქ რამდენიმე სომეხი და პირობა დაუდვიათ, რომ, დღეობის, ვიზიტებისა და დაბადების დღის დღესასწაულობის მაგივრად, შეიტანონ ახლად-დაარსებულს „ახალციხის სომხურ ქველ-მოქმედ საზოგადოების“ კასსაში წელიწადში თითო მანეთი.

*** სიღნაღიდამ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს ამ ქალაქში, ერთობ გახშირდა ქურდობაო, ისე კვირა იშვიათად გაივლისო, რომ ერთი დუქანი მაინც არ გატეხონო.

თუმცა აქეთკენ თითქმის ყველგან ძალიან კარგი მოსავალი იყო წელს ნამუშევრისაო, მაგრამ ყოველგვარი ხორაგი ამ ჟამად მაინც ძალიან ძვირად იყიდებაო; ფუთი ფქვილი, მაგალითად, შვიდ აბაზ ნაკლებ არ იშოვება ახლა სიღნაღშიო.

*** ჩვენი სიღნაღელივე კორრესპონდენტის სიტყვით, იქაურს კლუბში, ამას წინათ ერთს სომეხსა და ქართველს ჩხუბი მოსვლიათ რაღაცაზედ და, როგორც გვარწმუნებს, სომეხმა აჯობა და სცემა ქართველსაო...

*** მოგეხსენებათ, რომ ჩვენი უბრალო ხალხის აზრით თელეთის მონასტერს დიდი სასწაულთ-მომქმედი და გამკურნებელი ძალა აქვს და ამის გამო მუდამ წელიწადს დიდ-ძალი ხალხი იკრიბება იქ. ამბობენ, რომ ამას წინათ კახეთიდამ ათი ურემი მოსულა თელეთში სალოცავად და ავადმყოფებიც წამოუყვანიათ თან. გზაზე ავადმყოფები უფრო ავათ გამხდარან და ორი იმათგანი თელეთში მისვლისავე მომკვდარა.

სამღვდელოების ვალია ამისთანა შემთხვევაში ურჩიონ ცრუმორწმუნე ხალხს, რომ მძიმე ავადმყოფებს ცუდ ტაროსში მაინც ნუ დაანძრევენ ადგილიდამ თელეთში წასაყვანად ანუ სხვაგან სადმე სალოცავათა.

# სამართალი

## ტატო წულუკიძის საქმე

**კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოში.**

**სხდომა 17 ნოემბერს.**

გასულის შაბათს, 17 ნოებერს, აქაურს სამხედრო სასამართლოში დაიწყეს საქმის გარჩევა თფილისის მცხოვრებთა ტატო წ უ ლ უ კ ი ძ ი ს, ორბელოვის და ალექო ყ ა ზ ა რ ო ვ ი ს და ქუთაისის გუბ. მცხოვრების გიორგი ზ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი ს ა, რომელთაც, სამხედრო პროკურორის გამამტყუვნებელის აქტით, ბრალდებათ ის რომ 20 ქრისტეშობისთვეს 1877 წელს დაიარაღებული დაეცნენ დურგალს ტერლამაზოვს სადოვის (ბაღის) ქუჩაზე, სოლოლაკში და გაუცარცვავთ; მეორედ ბრალდებათ კიდევ ამავე დროს პოლიციის სალდათის მოკვლა.

სასამართლოს შეადგენენ; თავსმჯდომარე ღენერალ-მაიორი ფონ-ბრანტი, მუდმივ წევრნი: ბაუერი და პოლკ. შულგინი და ექვსი დროებით მოწვეულნი წევრნი; პროკურორად არის სამხედრო პროკურორის ამხანაგი ორლოვი. ბრალდებულთ დამცველად არიან სამხედრო ადვოკატები: ტატო წულუკიძისა—ნესტერევი, ზველესიანისა—ჩუდეცკი, ყაზაროვისა,—ალიხანოვი და ორბელოვისა—პეტრეშკევიჩი.

სასამართლოს ზალა გატენილია ხალხით; პირველი სამი რიგი პარტებისა მხოლოთ ქალებით არის დაჭერილი; ბევრის ამათი თანაგრძნობითი შეხედულება ტატოსაკენ არის მიქცეული...

ქუჩაზე, სამხედრო სასამართლოს წინ, დიდძალი ხალხია მოგროვილი და აქვთ ერთი ჩოჩქოლი. მომეტებული ნაწილი კინტო—მინტო ხალხია, „დარდიმანდ ბიჭებს“ რომ ეძახიან ქალაქში, ისინი.

ყველა, რასაკვირველია, ტატოზე ლაპარაკობს. „აბსუს რა ბიჭი!“ გაიძახიან ქუჩაში. „კაკოი სიმპატიჩნი!“ ისმის ქალების ჩურჩული ზალაში...

ტ ა ტ ო მაღალ-მაღალი, შავ-ყვითელი, პატარა კოკობ ულვაშიანი და მოკლედ

შეპარსულ წვერიანი ახალგაზდა სულ 25—26 წლის ყმაწვილი კაცია. მართლაც გასაკვირველი სიმპატიური, საყვარელი გამომეტყველების პირის-სახე აქვს. როცა რომელიმე მოწამე იმის წინაალმდეგს ამბობს რასმე, ცოტა თვალებში და ტუჩებზე შეეტყობა, რომ ის „მაგარ-ხასიათიანი კაცია" და ხანჯლის მოქნევის დროს ხელი არ აუკანკალდება; ცოცხალ მოძრავ თვალებში რაღაც ელვარება მოჩანს ხოლმე ხანდისხან და სუფთა ტუჩებს მოკუმავს.

გველესიანს უფრო ავაზაკური სახის-გამომეტყველება აქვს, ის უფრო საშიშარი კაცი მოჩანს; გრძელი ფართო წვერები აქვს, მოლურჯო თვალები, პატარა შუბლი, თვითონაც მაღალი და ჩასკნილი.

ყაზაროვი—ნამდვილ სომეხს ყასაბსა ჰგავს; სახეზედ ეტყობა, რომ ეს არათუ კეთილ-შობილთ კაცების დასში, არამედ „კეთილშობილ ავაზაკთ" დასშიც არ არის გასარევი.

ორბელოვი ერთი რაღაც უშნო, პატარა, საძაგელი პირის-სახისა და უაზრო გამომეტყველების კაცია.

ყველას ხელ-ფეხზე ბორკილი აქვთ. ორბელოვს გარდა ყველა თფილისის ციხეში სხედან; ორბელოვი კი ბარისოგლებსკიდამ დაიბარეს, იქ კატორღაში არის გაგზავნილი რაღაც სხვა საქმეებისათვის. ტატოს ოლქის სასამართლოსაგან აგრეთვე სხვა საქმეებისათვის 10 წლის კატორღა აქვს გარდაწყვეტილი; 8 საქმე კიდევ სწარმოებს ამაზე, სულ 16 სხვა-და-სხვა ავაზაკობაში, თუ კაცის-კვლაში, თუ გაცარცვაში სდებენ ბრალს.

სხდომა 10½ საათზე გაიხსნა. მოწმეების სია წაიკითხეს; ამ საქმის თაობაზედ სულ 18 მოწამე ყოფილა დაბარებული. შემდეგ დააფიცეს ეს მოწმეები და სამი ექსპერტი: უფ. პ. უმიკაშვილი, ტატიევი და მღ. გურგენიძე, და შეუდგნენ მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას. პირველი მოწამე იყო:

ტერ-გამაზოვი, დურგალი, რომელიც სოლოლაკზე გაცარცვეს. (თითოეულ მოწმების ჩვენების საზოგადო აზრი მოგვყავს და არა სიტყვა-სიტყვით იმათი ნალაპარაკევი). საღამო ჟამი გახლდათ; მუშაობიდამ მოვდიოდი; სადოვის ქუჩაში, ძველი ინსტიტუტის ქუჩის პირ-და-პირ უეცრად ორი ვიღაც დამეცა, წამკრეს კისერში ხელი, წამაქციეს და ჯერ უბიდამ საათი ამამაცალეს, მერე ჯიბიდამ 14 მანეთი ფული, ვერცხლის ქამარი შემსხნეს და გაიქცნენ. ხელი დამიჭირეს როცა ქამარს მსხნიდნენ. სულ ექვსი კაცი იყო, მგონია; ორი მე დამეცა და დანარჩენი ოთხი შორი-ახლო იდგნენ ხანჯლებითა და რევოლვერებით. ნამდვილს ვერ მოგახსენებთ—ვინ რა ტანის იყო, ეს კი შევნიშნე შეშინებულმა, რომ ზოგი მაღალი იყო და ზოგი დაბალი. მხოლოთ ორი ძმა ყუზანოვები ვიცანი ამათში, ესენი იყვნენ პირველად რომ მომვარდნენ და დამაგდეს, დანარჩენი ვერავინ ვერ ვიცანი.

თავმჯდომარე (ბრალდებულთ) ხომ ვერ ჰკითხოთ მოწამეს ტერ-გამაზოვს თქვენი თავის გასამართლებლად, თუ არა?

ტატო. მე რა უნდა ვკითხო? თუ მნახა, როცა სცარცვავდნენ და მიცნობს, სთქვას.

ამგვარსავე კითხვას აძლევენ მოწამეს გველესიანიცა და ყაზაროვიც. ტერ-გამაზოვმა სთქვა, რომ ორბელოვს ბავშობიდამ ვიცნობდიო, მაგრამ ვერც ამაზე და ვერც ერთს სხვაზე ვერ ვიტყვით, რომ ნამდვილად ესენი ყოფილიყვნენ ჩემი გამცარცველებიო; მე მხოლოთ ყუზანოვები ვიცანიო.

მოწამე ჭელიძე (მედუქნე). ჩემ დუქანში გახლდით; მუშტარი მყავნდა; ამ დროს თოფის სროლის ხმა მომესმა. გამოვარდი გარეთ და დავინახე, რომ სამი ვიღაც ნაბდიანი კაცი მირბოდა ინსტიტუტის ქუჩისაკენ, ირაკლის სახლის ზემოდამ; ერთსაც ხრმალი ჰქონდა ამოღებული. აქ მითხრეს, რომ პოლიციის სალდათი მოკლესო. რევოლვერის ხმა სამჯერ ოთხჯერ მომესმა. ვერავის ვერ ვიცნობ იმათგანს, რადგან ახლოს არ დამინახავს.

წაიკითხეს ჩვენება იმ პოლიციის სალდათის დუკანოვისა, რომელიც ავაზაკებმა დასჭრეს სადოვის ქუჩაზე. ეს ჩვენება მამაკვდავისათვის ჩამოურთმევიათ; მეორე დღეს ეს სალდათი მოკვდა; გულში ჰქონდა ტყვია მოხვედრილი. ამის ჩვენებიდამ სჩანს, რომ 1877 წელს 20 დეკემბერს ლაბორატორის ქუჩაზე ვიყავი ყარაულათაო და უეცრად „ყარაულ! ყარაულ!" ძახილი მომესმაო. გავიქეცი და ვნახე რომ ოთხი თუ ხუთი ნაბდიანი კაცი მორბოდა, ერთიც პირქვე ეგდო ქუჩაზე. ამ დროს შეჰნეს რევოლვერის სროლა და რადგან დამჭრეს, მერე აღარა მახსოვს-რა. ვერც ერთი ავაზაკი ვერ ვიცანი. ორ ძმას ყუზანოვებს ვიცნობ, ქურდები და ავაზაკები არიან ისინი.

ამ გვარადვე აღწერს საქმის გარემოებას მეორე პოლიციის სალდათი დუშმანი, რომელიც ღენ. სტაროსელსკის სადგომის (ფითოევის სახლის) კარებთან მდგარა იმ დროს. ისიც ამბობს, რომ ოთხი თუ ხუთი ნაბდიანი კაცი დავინახე მირბოდნენო, ვერც ერთი ვერ ვიცანიო.

მოწ. ზაქარია ცატურიძე (ტუსაღი, ბორკილებით, სურამში რომ აკოფოვი მოჰკლეს, იმ საქმის თაობაზედ არის დაჭერილი). ამ საქმის თაობაზედ ვერაფერს მოგახსენებთ; მეშინიან, მამკლავენ; ერთხელაც კინაღამ მომკლეს. (პროკურორის გამოკითხვაზე). ვიცი მხოლოდ ის, რომ ერთხელ რამდენიმე ბიჭი ერთად ვისხედით სადილათ გორის ციხეში და მაშინ გამოტყდა გიორგი გველესიანი, რომ ის პოლიციის სალდათიც ჩვენ მოვკალით თფილისშიო და სურამელი აკოფოვიცაო; ეს კი ვიცი, მაგრამ ვერ ვიტყვი, მეშინიან, მომკლავენ. მე თვითონ ვნახე და მეორე ტუსაღმაც რუსმა მიტრაფანოვმა, როცა გველესიანი წიგნს სწერდა ერთ თავის მოყვარესთან, რომ სოფ. ნარიყალის ამა და ამ დუქანში საათი არის ჩვენგან გაყიდულიო, მიდი იქ, გამოართვი ის საათი და სლედოვატელი თუ მივიდეს, გზა და კვალი დაუბნიეთო. სლედოვატელი, პროკურორი და სატუსაღოს სმატრიტელი რომ წავიდნენ ნარიყალში, მეც თან წამიყვანეს, დუქანი ვუჩვენე და საათი იქ იპოვნეს დანდუროვთან.

ტატო. ერთი ეს ჰკითხეთ მაგას: თუ მოკვლა უნდოდათ, რატომ არ მოჰკლეს? განა ძნელი იყო მაგის მოკვლა? ერთს ხელს წაუჭერდნენ ყელში და მაგის ჯანი.. ახლაც ერთათა ვართ ციხეში, მაგრამ ჰკითხეთ სმატრიტელს—აბა თუ ერთხელ ხელი გვიხლია? შპიონობა იმიტომ დაიწყო მაგანა, რომ ეგონა გადავრჩები აკოფოვის საქმეს და გამათავისუფლებენო..

გველესიანი. მე ეს უნდა მოვახსენო სუდს, რომ თუნდაც მართლა ჩამედინა მე ეგ საქმე, რისთვის, რა სარგებლობისთვის ვეტყოდი მაგ ცატურიძეს?!

მოწ. ხოლო გოგოლაშვილი. გორის ციხეში გახლდით დატუსაღებული აკოფოვის მოკვლის თაობაზე და თავდებობით გამომიშვეს. ამ საქმის თაობაზე რაც ვიცი, ყველაფერი ცატურიძისაგან შევიტყე; იმან შემაცდინა, მითხრა, ასე სთქვიო, შენთვისაც კარგი იქნება ესაო და ჩემთვისაცაო, აკოფოვის საქმეც მაგათ დავაბრალოთო. ცატურიძე ტყუილს მოგახსენებსთ, გველესიანს ჩემთვის არა უთქვამს-რა; გამომეძიებელს ცატურიძის ჩაგონებით უთხარი... ჩემ დღეში ამისთანა საქმეში არ გავრეულვარ, შეშინებული ვიყავი, ერთი ხამი კაცი ვიყავი, ვინც რას მეტყოდა, დავიჯერებდი. ცოლ-შვილიანი გახლავარ,

ფიცი მიმიღია, ტყუილის თქმას ვერ გავბედავ...

ცატურიძე (პირში წაუყენეს). ეშინიან, ჰბატონო, და იმიტომ არ ამბობს მართალს, თორემ თვითონ გაიგონა ზველესიანისაგან. ეშინიან—ხელ-მეორედ არ გამაბან აკოფოვის საქმეში. ყაზაროვი და ზველესიანი მისყიდული ჰყავს, ხუთი თუმანი მისცა და ოც-დაათიც დაჰპირდა.

მოწამე დანდუროვი. ქრისტეშობისთვე გახლდათ, წელიწადი არ მახსოვს, ორიენობა იყო, ეს კი ვიცი. დუქანი მაქვს სოფ. ნარიყალში, მცხეთიდამ 7 ვერსი იქნება. საღამო ხანს ხუთი ნაბდიანი კაცი შემოვიდა ჩემ დუქანში. ერთმა ამათგანმა, რომელიც უფრო მაღალი იყო, საათი მიჩვენა და მითხრა, დუშელები ვართო, ფულები შემოგვაკლდა გზაზედაო, ეს საათი წაილე და ფული მოგვეციო. ჯერ უთხარი, არ მინდა-მეთქი, მაგრამ მერე ხუთ მანეთად მოვრიგდით, ოთხი ხელში მივეცი და ერთი მანეთისაც იქვე ხელად დასხდნენ და პური შესჭამეს. ის ერთი, რომელიც უფრო მაღალი იყო და საათზე მევაჭრებოდა, კარგათ დავიხსომე, რადგან ერთ ჩემ ნაცნობს კავკაველ ბიჭს გვანდა ძალიან; დანარჩენებს კი არ დავკვირვებივარ, ბევრი პრაქაიუსჩი მყავნდა იმდროს, ფურგუნები იდგნენ დუქნის წინ, იმათ უვლიდი, თივას ვაძლევდი ცხენებს და სხვ.

პროკურორი. (ბრალდებულებზე მიუთითებს), რომელია ის ერთი, რომელსაც იცნობ?

დანდუროვი (პირ-და-პირ ტატოსთან მივა). აი, ეს გახლდათ... მერე, შარშან მეტეხში მიმიყვანეს, მიჩვენეს და იმ წამსვე ვიცანი.

ტატო. მიკვირს როგორ მიცნო, როდესაც ექვსი თვის უნახავმა სლედოვატელ ხოსროევმა მნახა და ვერ მიცნო. დედამაც კი ვერ მიცნო და ეგ საიდამ მიცნობდა, თუნდაც რომ მართლა ერთ წამს ვენახე თავის დუქანში? სულაც არ უცნივარ, მაგრამ როცა ეგა და სლედოვატელი შემოვიდნენ მეტეხში, სლედოვატელმა მითხრა: „გამარჯობა, ტატო!" მაგანაც მხოლოდ მიშინ სთქვა, რომ აი ეს იყო, საათი რომ მომიტანაო. მთელი ქვეყანა ჩემზე ლაპარაკობდა მაშინ, რაც რამ ცუდ-კაცობა მოხდებოდა, ყველაფერს მე მაბრალებდნენ, მაგასაც ეშინოდა, ვაი თუ ამ საათის თაობაზე რამე საქმეში გამხვიონო და მე გადამაბრალოა. თორემ მე საიდამ ვიქნებოდი, როდესაც რომა იმ დროს კავკავში ვიყავი...

საღამოს 5 საათი იყო, როცა სამმართველოს თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სხდომა ხვალ, დილის 10 საათზე გაგრძელდებაო.

(კიდევ იქნება)

# განცხადებანი

უმორჩილესად ვსთხოვ ყველა იმ პირებს, რომლებსაც კი უფ. ზ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიიდამ ნისიათ, ანუ კომისიით უეზდის ქალაქებში ანუ სხვაგან წიგნები აქვსთ წაღებული გასასყიდათ, დღეის შემდეგ იმ წიგნების ფული მე გამომიგზავნონ, რადგანაც უფ. ჩარკვიანთან თანამდებობა დავსტოვე და ყველა ის ნისიები, რაც კი ჩემს დროს გავიდა, მე გარდმოვიღე ჩემზე და სამაგიერო უკვე გადაუხადე.

ადრესი ჩემი: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба"

(5—1) ზაქარია ჭიჭინაძე

ფოთი-თფილისის რკინის გზის

# საზოგადოებისაგან

22 ოქტომბერს 1879 წელს უმაღლესად დამტკიცებულის ახალის წესდების ძალით, ფოთი-თფილისის რკინის გზის საზოგადოებას მიენდო რკინის გზის გაკეთება თფილისიდამ ბაქომდინ და დღეის შემდეგ ამ საზოგადოებას დაერქვა სახელად „საზოგადოება კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზისა".

საზოგადოების გამგეობა თავის ვალად სთვლის გამოუცხადოს ეს ყველა იმ პირთა და უწყებათა საცნობელად, რომელთაც იმასთან რაიმე საქმე აქვსთ ანუ შემდეგში ექნებათ.

(1—1)

# ადვოკატი

ვლადიმირ ვლადისლავის ძე მარცინკევიჩი გადავიდა აივაზოვის სახლში, სომხის ბაზარში, ფრანგების ეკლესიის პირ-და-პირ, იმავე სახლებში, რომელშიაც იმყოფება აივაზოვის აფთიაქი.

(6—1)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოჩტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალ-ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისსა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ლია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 15 ნოემბ. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯრისა ფუთ. | 2 | 50 |
| ფქვ. წითელი . . | 2 | — |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 40 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 70 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 40 |
| ბამბენტილი ბამბა ფუთი. | 10 | 70 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 7 | 70 |
| —თარაქამისა ფუთი . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 5 | 70 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 60 |
| ხორცი ძროხისა ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 70 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 13 | 40 |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 70 |

**თფილისის სამკურნალო.**
ერევნ. მოედ., წინამძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ვარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ქურავლევი—ვენერიულის და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ., ასტვაცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და ქურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტვაცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ქურავლევი.—ვენერ. და კანის, რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Ноябрь 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.